მაშინ უთხრა თამარმა ლაშასა,დავითი რომ არ იყო იმისი
მამა.

ძალიან გაბრაზდა,აღარ მოდიოდა ჩემთანა,ველარ მიტანდა.

თამარი ეხვეწებოდა ადიო, მამა ნახეო

ოთხი წელი გავიდა არ ამოსულა ჩემთანა.

მერე დაიყოლია თამარმა.მოვიდა,მომესალმა,მომეხვია და
ჩუმიად მითხრა,მამა მაპატეო.ჩუმიადვე ვუთხარი,შვილო მო-
მენატრე თქო.

სანამ თამარი იყო,ლაშა თავისუფლად დადიოდა თავისივე
მეგობრებთანა,ქეიფობდა და ნადირობდა.

მერე თამარი დასნეულდა,ავად იყო,თანდათან ავალებდა
ლაშასა საქვეყნო საქმეების მოგვარებასა.

მერე უფრო ხშირად მოდიოდა ხიხანსა.მეკითხებოდა აზრსა.სალაშქროდაც მიდიოდა მომავალი მეფე სანამ თამარი იყო,დრო მეტი მქონდა,ვწერდი ჩემივე პოემასა, დავდიოდი მთასა,ვხატავდი. რომ მოკვდა,მერე ველარ ვიცლიდი. მოკვდა თამარი 1215წ პირველი მაისი.მასთანვე მოკვდები მე.

წამერთვა რწმენა

მე ვერ დავრჩებოდი აჭარასა, აღარ შემეძლო. წამერთვა რწმენა და წამერთვა უნარი,პოემის წერას ველარ ვახერხებდი. სიცარიელემ მოიცვა ჩემივე აზრი და გონი,სული და ხორცი.დარჩა არარაობა სრული. ვიყავი ლორე-ტაშირსა ჩემივე ძმასთანა, ვარდანთან. მთლიან დროს ვატარებდი ნადირობასა. შემთხვევით კინალამ მოკვალი კახაბერი, დაიჭრა. მერიდებოდა ჩემივე ძმისა.ვარდანსა ეშინოდა რამე უბედურება არ ამეტება ჩემივე თავისათვისა. . დრო პურობასა და უაზრო წანწალში გადიოდა,არცა შოთა ვიყავი და არცა რუსთველი. გაბოროტებული,დაცემული,უგვანობოგანო.მხოლოდუფალმა უწყოდა,ვინ როდის მომიღებდა ბოლოსა. ასე უაზრო წანწალში ორი წელი გავატარე,ასევე ვაგრძელებდი.უდიერად და უაზროდ ვგმობდი უფალსა. უწესოდ და უპატიოდ ვზრახავდი ყველასა,ნათესავთა თუ მშობელთა.ვწყველიდი ჩემი გაჩენის დღესა. ცბიერი ბოცო,დამიგულა შორსა,მოინდომა ჩემივე ციხისა მიტაცება. მერე მითხრეს,თურმე ჩუმად დადიოდა და ჩემზე ჭორაობდა:შოთასა მეფემან წაართვაო ბაკო,ციხე და რაც ქონდაო.მე წავიღეო.უნდოდა მოპარვა.

ვითა მეფე გიბრძანებ

ბოლოს ლაშა მოვიდა ჩემთანა. მითხრა:

შენივე მამასა,ივანე ერისთავსა ციხის დაკარგვის დარდმან მოუღლო ბოლო.

მეფე თამარმა შენვე მოგცა სამემკვიდროდ,ბრძანა აგება და გამაგრება ციხისა,რომ არ წაეღო შენივე მტერსა და მოშურნესა,ლიპარიტსა.

შენივე ძმებსა ასევე უწყალობა მეფე თამარმან ზემო აჭარას სოფელნი სამემკვიდროდ შენივე ხათრითა,უნდოდა შენვე მიგეხედა და გაგემაგრებინა აჭარა.

მევე დაგიმტკიცე შემოგარენი ციხისა.

მეფე თამარისავე ბრძანებით ხარ ერისთავი იმავე აჭარისა და მოგებარა საჭურჭლენი.

მე მისივე ბრძანებითა ვარ ვითა მეფე და ხელმწიფე.

მეფე თამარი იყო ხელმწიფე, ქალი და ჩემივე დედა,ვითა შვილისა და ვითა ხელმწიფისა.

ის მოკვდა ვითა გვირგვინოსანი.ვერ ვნახე მისივე თვალთაგან მდინარე ცრემლი,გინა დაფარული.

მეფობა არ ჰგუობსო ცრემლთა,არცა შვილთა და არცა მათივე მშობელთა.დაგიგდიაო უპატრონოდ საერისთავო.

შოთასა,ვითა მეფე თამარის მიერ გამორჩეულსა,მისივე მდომთა და მოსურნე კაცთაგან უპირველესსა,არ მიეტევებო ასეთი დაცემა და დაძაბუნება.

მე ვედარ ავიტანო შენსავე უპატიო საქციელსაო.

ვითა მეფე გიბრძანებო:

დაბრუნდე შენივე აღდგენილი ციხის პატრონად,ვითა ერისთავი აჭარისა.

ან ახლავე უნდა გაემზადო და შეხვიდე მონასტერსა იერუსალიმისა.

ციხის პატრონად შენივე ძმასა დავადგენ,მისივე საპატრონოდა.

თუ ინება უფალმა და მოგიხდა მობრუნება ვითა ერისთავსა და პატრონსა,

დაგიბრუნდებაო შენივე ციხე.

მე ვერ შევკადრე უარი შვილსა, ვითა მეფესა

გავემზადე და ათისა დღისა თავსა. ამაღლის თანხლებითა გავემგზავრე იერუსალიმსა.

შევდექი ბერადა. დავიწყე ღვთისმსახურება.

ლოცვათა და ეკლესიასა შინა მყოფთა მეოხებითა, შევიცვალე მთლიანდ.

დამიბრუნდა ენერგია და აზრი, სხვა თვალითა შევხედე საწუთროსა.

შემრცხვა ჩემივე უღირსი საქციელისა. ახლიდან შევუდექი შრომასა.

შეფარვით ვწერდი ვეხისტყაოსანსა იმავე რუსთველის სახელითა.

ვნანობ

რატომ არ გავიმეტე უფრო მეტი სიტბო ჩემივე შვილისათვისა.

ცუატი ერქვა დემნას ცოლსა, იყო ჩემი ნათესავი

სამი წელი იყო იმისი ცოლი. ბევრი იწვალა, ვეხვეწე არ წასულიყო მონასტერსა.

თავისი გაიტანა, ათი წელი იყო მონაზონი ჭულესა. იქვე არის დამარხული.

მაპატიოს დემნამა, ვერ შევძელი მისი გადმოსვენება

სტრიქონი 1.3

მოვიდა ჯოგი ირემთა

ვერ მივედი და ვერ დავიტირე ჩემივე შვილი. მდუმარედ, უხმოდ ვიგლოვე მარტოკამ.

გავიგე ფლატესა. მითხრა ჩემივე ნათესავმა. ველარ მივიდოდი, უკვე დამარხესო მითხრეს.

სამი თვე ვიგლოვე,ველარ გავავაკეთე ვერაფერი,ველარც გავედი გარეთა.

ვერცა დავწერე რამე,ვიყავი თავზარდაცემული და განადგურებული.გარეთ გახედვაც აღარ შემემძლო.

მეორედ მოვკვდი,მეორედ დავკარგე რწმენა და იმედი მეორედაც მომხედა უფალმა,დაილოცოს მისი განგება.

იმ დღესა უცნაურად დაიწყო დილა,ძალიან მომინდა გარეთ გახედვა.

მივედი სარკმელთანა,დავინახე მოადგა ჩემივე კარსა ჯოგი ირემთა.

თორმეტი სული.თავისივე პატარა ნაშიერებითა.

თავიდან მეგონა მეჩვენება თქო,ვუჭვრეტდი გაოგნებული.

იდგნენ კართან ირმები და მითამაშებდნენ თავისივე პატარა კუდებსა.

საცქერლად მშვენიერი იყო,თითქოს საჩუქრად მოუხატავსო ბუნებასა.

სწრაფადვე გავაღე კარი და გავედი გარეთა.

თავიდან ვიფიქრე იქნებ მოშივდათ თქო,მერე მივხვდი ბალახი საკმარისი იყო.

წყალი გამოვუტანე ირმებსა,არ მიეკარა არცერთი.

ვერაფრით ამეხსნა უცნაური საქციელი ცხოველთა.

ვიწერდი პირჯვარსა,ვადიდებდი უფალსა,რა მექნა არ ვიცოდი.

მერე ერთი ირემი გამოეყო თავისივე ჯოგსა.გავიდა მოშორებითა და იქ გაჩერდა,თითქოს მე მელოდებოდა.

წავედი იქეთა,წავიდა ირემიცა,მერე ისევე გაჩერდა.გავაგრძელე გზა.მივხვდი უნდა მივყოლოდი.

გავყევი ირემსა.გავიდა ციხესა. უკან მივსდიე.

მეც გავედი.დავინახე ზემოთა ის ირემი იდგა ერთ ადგილასა.აღარ ინძრეოდა

კარგად ვერ დავინახე.მივედი ახლოსა.ვნახე მეორე პატარა ირემი წევს მიწასა.

ვერ ინძრეოდა,მითამაშებდა პატარა კუდსა.

მოვეფერე, ხელი გადავუსვი თავსა. თავისივე საქციელითა მთხოვდა მიშველო.

თურმე დედა შველიც იქვე იდგა, კინალამ ვერ დავინახე.

მივხვდი. ლოდი გადმოვარდნილა და დაცმია, ერთი ფეხი ქონდა მოტეხილი, მეორესაც იტკივებდა.

წინა ფეხები მთელი ქონდა. აბაკუნებდა მყარად ეხებოდა მიწასა.

თურმე საშველად წავუყვანივარ. იქ ვერ დავტოვებდი ირემსა. გადმოვიხედე დაბლა, ისევე იდგნენ ირმები და მითამაშებდნენ თავისივე პატარა კუდებსა, მეხვეწებოდნენ, რამე ილონეო.

ვფიქრობდი რა მექნა, მარტო ვიყავი, ვერავის დავიხმარებდი.

გადავწყვიტე როგორმე უნდა ჩამეყვანა დაბლა. მერე ისევ მაღლა ასე ციხემდე უნდა მივსულიყავი.

სწრაფად დავბრუნდი ციხესა. მინდოდა მიმეტანა პატარა მარხილი.

დავაკრავ ზედა, ასე წავიყვან თქო.

მოვნახე მარხილი, ავიღე თოკი და უკანვე გავემართე.

დავინახე ირმები დაფეთებულნი მორბოდნენ ციხისკენა.

მივხვდი ნადირი მოსულიყო, იმან დააფრთხო. დავაგდე მარხილი და გავიქეცი ზემოთა.

თურმე მაღლიდან ჩამოსულიყო დათვი. მირბოდა ირმისკენა ვიღრიალე. დაფრთხა და ქვემოთკენ გაიქცა.

დაველოდე, მერე ვნახე მოვიდნენ ირმებიცა.

დავრწმუნდი აღარ იყო ნადირი, წამოვედი და ავიტანე მარხილი.

დავაპირე შემოდება მარხილსა, ვიფიქრე დავაკრავ ზედა, ასე ადვილი იქნება თქო.

გამიჭირდა, საკმარისად მძიმე იყო, თოკი და საზიდარი დავიხმარე, შემოვდე მარხილსა და კარგად დავაკარი თოკითა.

დავეშვი დაბლა. ადვილად ჩამოვედი. მერე მაღლა უნდა ამეთრია.

თავიდან მეგონა ადვილად ავიტანდი მარხილსა.გამიჭირდა აზიდვა. დავილაღე,გავჩერდი. დავისვენე.

ასე ავათრიე ბოლომდე,ირმებიც უკან მომყვებოდნენ და-
ლამებამდე მივათრევედი.ძლივს მივედი ჩემივე თავლასა.

ვთქვი ისევ დავიხმარ თოკსა და საზიდარსა და ჩამოვიღებ
ირემსა.

თვითონვე დამეხმარა თავისივე წინა ფეხებითა.

მოვიტანე,დავუყარე,თითქოს დამშვიდდა,მადიანად ჭამდა
თივასა.

მე ძალიან დავილაღე.ცოტას დავისვენებ და მოგხედავ თქო,
ვუთხარი ირემსა.მოვნახე ჩოხის ნაჭერი და კარგად
შემოვუჭირე ორთავე ფეხსა,გარედან ჯოხები,ვითა ყავარ-
ჯნები დავამაგრე თოკითა.

ბოლოს თივა და წყალი მივუტანე მისივე სამყოფი.მოვრჩი
შუა ღამესა.დავკეტე თავლა და შევედი შინა.

ველარ დავიძინე დილაამდე. დარდი მქონდა ირმისა.ნეტავი
რა იქნება,თუ მორჩება,კარგად ხომ შევუკარი ფეხები თქო
ვფიქრობდი.დილა უთენია მივვარდი თავლასა.

ირემი მითამაშებდა კუდსა, ასე გამოხატავდა თავისივე
მადლიერებასა.მიხაროდა,ირმების აქიმი ვარ თქო,მერე
ვხუმრობდი.

გარეთ გამოვედი და დავინახე,ისევ მოვიდნენ ჩემი
ქორბულები.

მთელი თვე მოვანდომე,თითქოს პატარა ბავშვი მყვანდა,ისე
ვევლებოდი თავსა.

ერთი თვე დადიოდნენ ირმები ჩემთანა.როცა
გავუშვი,კინალამ ვიტირე იმ დღესა.

გავედი,ის ირმები დავხატე გაღმა ფერდსა, მოჩანდა ჩემივე
ციხიდანა.

იმის მერე ისევ დავიწყე წერა,გავედი გარეთ და გავაგრძელე
მოხატვა.

ღმერთმა გამომიგზავნა ჯოგი ირემთა.

დიდება შენდა უფალო,დაილოცოს შენი განგება.

მე ვარ

მე ვარ ქართველი პოეტი რუსთველი.

მე ვერ დავიტირე მეფე თამარი,ჩუმად ვიგლოვე ვითა ეკადრებოდა იმასა.

მე ვიპოვე თავი თომა მოციქულისა.

მე მოვიპარე კვართი უფლისა.

მე მოვიპარე ძველი გუჯრები,მეფეთა სიგელები და წყალობის წიგნები.

მე მოვიტანე მოგვების წიგნები იერუსალიმიდან.

მე მოვიტანე ძველი ბიბლია,ძვირი მივეცი.

მე ვთარგმნე ბიბლია,ძველი აღთქმა.

მე ვთარგმნე პითაგორა,ელინი სოკრატე,ეზოპე,ძველი რომაელი ციცერონი,ფლავიუსი და ელინი პლატონი, სოფოკლეს ტრაგედიები.

მე ვთარგმნე სპარსული პოეზია.

მე ძლივს დავამთავრე ვეფხისტყაოსანი.დიდი ხანი გამიგრძელდა,უფრო ადრე ვერ მოვახერხე.ორმოცი წელი ვწერდი მე მოვხატე ტბასა გმირები ჩემივე ვეფხისტყაოსნისა, ვერ დავასრულე ბოლომდე.

მე დავწერე დონი,ახალი ქართული კალენდარი.

მე მოვხატე ბევრი ტამარი,და ფრესკა.

მე ვთარგმნე დავითის ფსალმუნნი.

მე დავწერე მეფე თამარის ბრძანებითა,დიდი მეფე დავითის საგალობელი,გალობანი სინანულისანი.

მე ვთარგმნე ვეფხისტყაოსანი სამ ენაზე.

მე დავწერე იოანე ზოსიმეს საგალობელი, ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი.

მე დავწერე ისტორიანი.

მე ავაგე შვიდი ეკლესია(ერთი ვერნებისა) და შვიდი ხიდი.

მე ავაგე ახლიდან ციხე ხიხანსა,დაბლიდან ავზიდე ქვანი.

მე გავაძევე ლიპარიტი ბირთვისიდან და კლდეკარიდან.

მე მივუგზავნე გაგელსა ძე.ვითხოვდი დაეთმო ბოლნისი.ვამლევდი ძვირსა.ვერ გაიმეტა.წავართვი ძალითა.

მე მოვატყუე ვარდანი,საბრალოს წავართვი ზემო აჭარა
ჩემი რჩევით გადასცა მეფე თამარმა,ვარდანსა ლორე.მისივე
ძესა ძველი ტაშირი.

ლაშამან დაუმტკიცა ვარდანსა სამემკვიდროდა.

მე გავიყვანე გზები ბაკოსა და არსიანსა.

მე ვიმოგზაურე ვატიკანსა,მოვიარე ძველი რომი.

მე ვნახე ბიზანტია,ძველი ათენი,ბაბილონი,ძველი ეგვიპ-
ტე,ასურეთი,ტროა,სპარტა.

მე მძულს,ვერ ვიტან ტირანსა და ვერცა ტირანიასა.

მე დავეუფლე ლათინურსა,ძველ ბერძნულსა,არაბულსა და
სპარსულსა.ვისწავლე სომეხთა ენა,ძველი რუსული,ძველი
ებრაული,ცოტა თურქთა და ქურთთა ენა.

მე ძალიან მინდოდა,ვერ მოვასწარი ფინიკიელთა ენის შეს-
წავლა.

მე გამოვარკვие ფუძე ძველი აბაზასძის,ჩვენივე გვარისა.

მე დავადგინე ძველი გვარი იოანე ზოსიმესი,ჩორჩანელის და
ორდვანელისა.ორივენი დაჩისძენი ყოფილან.

მე შევუცვალე ჩემივე ძმასა ვარდანსა სახელი,დავარქვი
თავადი ქამადა.

მე ვამბობდი მამა ივანე ვითომ ყუბასარი იყო.

მე დავირქვი რუსთველი,ვინმე მესხი,მერე ტბელი.

მე თავი არასდროს დამიზოგავს,ბოლომდე ვემსახურე მეფესა
და სამეფოსა,ჩემივე ქვეყანასა.

მე ვარ მე ივანე აბუსერისძისა.

მე დავიბადე ტობასა,ვალესთან ახლო სოფელსა.

მე ბავშვობა გავატარე ტობასა,იქვე გავიზარდე.

მე მოვბრუნდი

მე ვერ დავრჩებოდი იერუსალიმსა, ვერ ვიტყვებდი შორიდანა.

მე უძილოდ დარჩენით ვერ ვიქმოდი ვერაფერს სანუგემოსა ჩემივე ქვეყნის უკუღმართი ბედის საშველადა.

მე არ დამჭირვებია ფიქრი და ყოყმანი, გამოვეშურე იერუსალიმიდანა.

მე დამჭირდა სამი თვე საქართველომდე.

მე ლაშა ვინახულე გელათსა, ქუთაისსა შინა. დავაჟკაცებულე იყო. შვილის დანახვაზე ამეტირა, ვერ შევიკავე თავი. ძალზე დიდი იყო, გეგონებოდა თავზე დევი დამადგაო. თვითონ დამალა, ვიგრძენი აუჩუყდა გული. მეფე იყო, ვერ იკადრებდა ცრემლსა.

მე ჩუმად ვაკვირდებოდი, როგორ იქცეოდა, მეშინოდა ვაითუ ძველებურად ცელქია თქო.

მე მომეწონა. უფრო დადინჯებულე იყო, მოზომილად და აზრიანად საუბრობდა.

მე ძლივს დავიყოლე ცოტა ხნით სასაუბროდა. სახე და გამომეტყველება ჩემი ქონდა, თვალ-წარბი დედისა.

მე მითხრა მამაო, უნდა მაპატიოო, მე მივემგზავრებო. მხარგრძელთა უკეთურებამ მოარყია ძლიერება მეფისაო. სარგისმაც გვიმუხთლაო.

თამარზე არ იდარდო, აქ ველარ ნახავო, საიმედოდ გადავმალეო, სანამ ხვარაზმელნი მოვლენ, თადარიგი დავიჭირეო.

მე ძალიან გამიხარდა, მთელი გზა ამაზე ფიქრში გავატარე მე ბოლომდე არ მქონდა გადაწყვეტილი სად დამეძალა მეფე თამარი.

თურმე უზრუნია მეფესა, ძესა ჩემსა ლაშასა.

მე მითხრა დაისვენე და მერე გაემგზავრეო ახალციხესა. ვუბრძანებ დაგახვედრონ შენივე ციხეო.

მე როცა დავბრუნდები გინახულეზო, მითხრა და გაეშურა.

მე ვიჯექი და ვფიქრობდი,საიდან დამეწყო,რითი მეშველა ქვეყნისათვისა.

მე სამი დღის მერე წავედი ახალციხესა.

მე ვიყავი ტობასა,ვინახულე ნათესავეები,გავედი საძვალესა.

მე ერთი კვირა დავრჩი იქა.მოვიარე მონატრებული ადგილები.

მერე ავედი ციხესა.

ძუ ვეფხვი ჩემი მზე თამარია.

მისივე თვეა მარჩბივი,ივნისი.

რიცხვი-ცამეტი,წელი ვეფხვი 1166.

ჩემი პირველი თვეა, ვერძი,აპრილი.

რიცხვი ჩვიდმეტი,წელი ტახი 1151.

თამარმა ხუთი ენა იცოდა ,მე ვასწავლე ხუთივე.

ჩემმა ძემან სამი,თამარმა ასწავლა.

პირველი თამარი იყო.

მეორე რუსუდანი.

მესამე შეეძინა მსახურისაგან,რუსუდანი ერქვა იმასაც.

სტრიქონი 2.1

ათი მცნება

მე ვარ პოეტი

მევე შოთა, ვარ რუსთველი და ტბელი

ძველი ქართველი თავადი

ძე ივანე აბუსერისძისა

ათი თავი

ათივე თავი მე დავწერე და გადავწერე.

ათივე თავი ძალიან ცოტა დროში მოვრჩი.

ათი დღე თოვდა და წვიმდა ძალიან ცუდი ამინდი იყო.

ათი დღე ვერ წავედი ვერსადა.

ათი დღე ვწერდი ამასა. სანამ გამოიდარა
ათი (და) დავუწერე წინ ყველა თავსა. თავები ასე დავყავი.
ათი მცნება,ათივე დავარღვიე.ვერ დავიცავი.
ლოცვაც ჩემივე დაწერილია.
მე ვიპოვე იოანე ზოსიმე.
მევე ვიპოვე მისი ხელნაწერები,ვიწვალე და გადავწერე.
თვითონვე მივეცი თამარსა.
კარგად ვერ წერდა,თვალსა უჩიოდა.
მასვე ჰქონდა დამალული თომა მოციქულის თავი.
ძალიან ბევრი წვალეზა გადაუტანია თურმე.
ათი წელი მოანდომა თურმე ახალი ანბანის შექმნასა.
გავწამდიო კარგად ვედარ ვხედავო.
დაბადებულა ივლიტასა.
თურმე ძველი გვარი ჩორჩანელისა ჰქონია.
თურმე ერისკაცობაში ივანე ერქვა იმასა.
მე გიორგი ჩორჩანელისა.
წამოვედიო აჭარასა,დაბასა ფურტიოსა,ფოთელურსა.
ჩემივე გვარის კაცთა ჰქონდათო იქ მიწა.
დავიწყე ეკლესიათა აშენებაო.
თვრამეტი ეკლესია ავაშენეო,ოცამდე შევაკეთეო.
მე ორმოცი წელი ვწერდი პოემასა,ვეფხისტყაოსანსა.

ვერაგი თვე

პირველი მაისი
მომიკვდა თამარი
ვერ დავიტირე, ჩუმად ვიგლოვე
მე ჩუმად ვიყავი მეფე თამარის საყვარელი
მე ვაღმერთებდი თამარსა
საკუთარ თავზე მეტად მიყვარდა
ცამეტი იანვარი
დავკარგე ჩემივე შვილი ლაშა

დავკარგე ერთადერთი შვილი
ვერ დავიტირე
ჩუმად ვიგლოვე
მეორედ დავკარგე რწმენა
მეორედ დაკარგა ფასი ჩემთვის ყოველმან
დავრჩი მარტოდ მარტო
მეორედ მიხსნა უფალმა
ირმებმა გადამარჩინეს

თვე აპრილი ჩვიდმეტი. ჩემი 1151 წელი.ქორონიკონი 371წ .
თამარი დაბადება ცამეტი ივნისი 1166წ ქორონ.386წ.
გარდაცვალება პირველი მაისი.
დემნა ჯდა საფარასა. დედა ნათელა.ცოლი თეკლე.
ჩემს ბიოგრაფიას ნახავთ აქვე პირველსავე თავსა.
თამარისას ბოლოში

სტრუქონი 2.2

მველი კალენდარი ლას დაიწყო 780 წელსა
ახალი კალენდარი დონ დაიწყო 1072 წელსა

სტრიქონი 3.1

ზედა ტბა

ზედა ტბასა მოვხატე თამარი
ტბასა ზევით,დასავლით მოვხატე ტარიელი.
თავსა ოტარიდი. თევზი.
მოვხატე შვილი ლაშა. ორი გული.
გვერდზე შავი ცხენი.
გულსა ვზი მე.
მე დავახატე დავარი.
მე გავაკეთე მშობლების საერთო სამარე ქვედა ტბასა.
მრგვალი მინდორი.შავი პატარა ტბა,რომელიც ჰგვანს
ცრემლსა.
მე ჩემი მშობლები და ობოლი მართა გადმოვასვენე ტობა-
დანა.
მე დემნა დამრჩა მარტო,თეკლე ველარ წამოვასვენე ჭულეს
მონასტრიდანა.
მე დედა ზოლოს გადმოვასვენე.დედა და მამა დავასვენე
გვერდიგვერდა.
ობოლი მართა კი მარტოა.
მე მინდოდა ბაგულისა და სხვა ნათესავების გადმოსვენება
ტობადან.
მე ვერ მოვასწარი, მოვიდა ჟამი ჩემი აღსასრულისა.
მე ჩემი ნებით მივდივარ იერუსალიმსა,მონასტერსა.წმინდა
მიწაზე.
მე ვტოვებ და ვემშვიდობები მშობლიერ მთასა და ბარსა.
მე ვკოცნი და ვეამბორები ჩემსა მიწას.ვტირი ვითა ბავშვი.

ცოტნე მოვიდა ჩემთან სტუმრადა.ცოტა ნაღვლიანი მეჩვენა.
ღვინო დავალევინე.დაღამებისას წავიდა.
დავცინე ჩემივე ცოლსა,ცოტაბოცოსა დაცოტა ვარამსა.გული
ვატკინე ბაგულსა.ცბიერი გველი, ჩემი ნათესავი,გაგელი.
ჩემი ცოლი მემნას ქვრივია.
ჩვენ ტობასაც გვექონდა სახლი

სტრიქონი 3.2

დავკარგე თამარი

თამარი თავისი ნებიოთ,დრო და დრო მოდიოდა ჩემთან მთასა.

ლამე ფარულად მოდიოდა ციხესა.ძალზედ ლამაზი და მგრძნობარე იყო.

გრძნობდა როგორ მიყვარდა და ვალმერთებდი.დიდ ხანს რჩებოდა ხიხანსა.

ვიდრე თამარი ჩემთან იყო,დედაჩემი ვანენტან მიდიოდა.

თამარი დაიბადა ივნისის ცამეტსა, 1166 წელსა.

გარდაიცვალა მაისის პირველსა, 1215 წელსა.

მე მართლა მიყვარდა თამარი,ჩემივე თავზე მეტადა.

მე მზად ვიყავი მისთვის სიცოცხლე დამეთმო.

მე ვერ ვიტან იანვარის ცამეტსა,მშულს.ლაშას სიკვდილის დღეა.

მე დემნა მყვანდა ვითა ძმა,თეკლე ჩემი ნათესავი,ვითა ღვიძლი და.

მე ვარ ქართველი თავადი,ერისთავი აჭარისა.

მე დავიბადე ვერძის ნიშნითა,ჩვიდმეტი აპრილი.ორშაბათი 1151.

მე მძიმედ განვიცადე ჩემი მზე თამარის სიკვდილი.

მე ძალიან გამიჭირდა,აღარ მინდოდა არაფერი ამ ქვეყანაზე.

მე ხელი ავიღე თავზედა.მოვიძულე მტერი და მოყვარე.ვიდოდი ვითა მძორი

მე დავკარგე რწმენა ღვთისა,ვიყავი მარტო ცოცხალი ლეში.

მე ბოლოს გადმომხედა მაღალმა ღმერთმან,დიდება მის სახელსა და მადლსა.

მე მჯერა უფალმა მოიღო წყალობა ჩემსა ზედა.მოვიდა ვანენ დაი ჩემი,მე ჩემი,მეფე ლაშა გიორგი.

მე მაიძულებს წასვლა მონასტერსა იერუსალიმისა.მეათე დღეს მზა მყვეს

მე ხიხანის ციხიდან ვითა მკუდარი მეფის ამალითა
გავემგზავრე იერუსალიმსა, მონასტერსა შინა. გზა გრძელი და
დამღლელი მქონდა.

მე გზად მრავალი უძილო ღამე გავათენე. 1217წ ივლისი.
შევდექი ბერადა.

მე მონასტერმა, ლოცვებმა და ღვთის მსახურებამა, რწმენა
დამიბრუნა

მე ახლიდან შევიგრძენი ამა საოფლისა ამაოება. ჩავაბარე
აღსარება და მოვინანიე.

მე ცრემლით ვთხოვდი უფალს მიეტევებინა სისუსტენი და
ცოდვანი ჩემნი.

მე ვპოვე სიმშვიდე სულისა.

მე ხვარაზმელთა თარეშმა მაიძულა ისევ მოვსულიყავი.
1222წ სექტემბერი.

მე ათი მცნებიდან ათივე დავარღვეე.

მე ვარ ცოდვილი.

მე ვარ ღრმა სინანულს მიცემული უღირსი მონა უფლისა.

მე ვარ მდუმარე ბერი.

მე თვალცრემლიანი, ჩუმად, მდუმარედ ვინანიებ ჩადენილ
ცოდვებსა.

მე ვევედრები უფალსა მომიტევოს შეცოდებანი ჩემნი.

აი ჩემი აღსარება უფლის წინაშე.

მაღალო ღმერთო, უფალო ჩემო, ღრმა სინანულით მოველ
წინაშე შენსა,

მომიტევე ცოდვანი ჩემნი.

ამინ

სტრიქონი 4.1

მეფე დავით V

დემნა იყო ყვარყვარეს დის შვილი.

პატარა ბავშვი ხელში აყვანილი მოიყვანეს ტობასა.

დემნას მამასა, მეფე დავითსა, მალულად დააღვინეს შავი ასპიტის შხამი.

დააღვინა ივანეს სიძვის დიაცმან, ვახვახის ასულმან.

ჩემივე დამან, ვანენმან იცოდა.

მე სანამ პატარა ვიყავი დამიმალეს.

სანამ დავითი ღვინოს დაღვდა, ნათელას სთხოვა დემნას მოყვანა.

აიყვანა ხელსა, მოეფერა, დალოცა, დასვა და დალია.

ცოტა ხნის შემდეგ ხველა ატეხვია. ცივი სდიოდაო ოფლი. ხმა წაერთვაო.

დამბლა დაცემია და მომკვდარა.

სანამ მოკვდებოდა შვილი მოიკითხა თურმე.

დალახვროსო ყველანი, მომკლესო უთქვამს თურმე. შველას ითხოვდაო, დემნას ეძახდაო.

თურმე შვიდსა ენკენისა განუტევა სული.

თავისივე საქციელი ბოლოს ყველამ ინანა.

სანამ წავიდოდე, მე ყველას შევუნდე

მე დავტოვე

დავტოვე ყველაფერი. სახლი ტობასა ვაჩუქე ცოლის შვილსა.

სანამ წავალ მინდა ვინახულო, ტაო, ვარძია, ოშკი..

წმინდა სანთლებს დავუნთებ შვილს და თამარსა.

ლაშას შვილის დავითის დარდმა გადამიყოლა.

არ უჩანს ბოლო ვერაგობასა.

დავკალი ლაშას მკვლეელი. დავახატე ხროვა, გველი, ასპიტი, ტახი.

თამარის ორი და ერთმანეთს მტრობდნენ. თურმე ორივე
ბოზი ყოფილა
იოანე ზოსიმეს ერისკაცობაში ივანე ერქვა.
იოანე ზოსიმეს ლოცვაც შოთა-ტბელის მოგონილია.
იოანე ზოსიმეს მთავარი დამსახურება ანბანის, მხედრულის
დასრულებაა.
ანბანის მოხატვაში მას დაეხმარნენ ჭიმჭიმელი და
ზედაზნელი.
თურმე ზოსიმე ბერად ჯდა აჭარასა. ფურტიოსა.
რუსთველი და ტბელი ორივე მოგონილია, ვიცრუე.
მძულს ცამეტი რიცხვი, შვილის სიკვდილის დღეა.
ზემო აჭარა მოვხატე თბილი ფერებითა.
თეკლეს მონაზონობასა შინა ერქუა ცუატი.
ვარძიას მოვხატე მეფე თამარი.
დარაჯთაგან კარი იქნა ღიად დატოვებული.
მოკლეს ივანე თურქთა. ცბიერი ლიპარიტის მეოხებითა.
თამარმა ბევრი ითმინა ცოდვანი გიორგისა.

ანბანი ზოსიმე, **დონ**-ი მე

სტრიქონი 4.2

ზნეობა

ელინი სოკრატე და სოფოკლე დიდი მოაზროვნენი არიან.
მეფე და ტირანია კლავს განვითარებასა.
არ დაბადებულა ზნეკეთილი ტირანი.
ბოროტება შობს ბოროტებასა.
დაბერდა დავარი, არ მოიშალა ავისა ქმნანი.
დაკოდეს დემნა, დაიბადა დავარი.
მოკვდა დავარი, დაიბადება ვინმე ბოროტი, მისივე მსგავსი.
კიდევ ვინმე ბოროტი დაისჯება საკადრისად.
ამითა არ მთავრდება, არ აქვს დასასრული.

კვდება ერთი,იბადება მეორე.
რაკი ერთმა ჩაიდინა,ბედავს მეორე.
დასაჯა მეფემან,დაისაჯა მეფე.
იკადრა მშობელმან,იკადრეს შვილთა.
სად არის არსი?
ამისი არსი დევს აღზრდასა შინა.
მშობლებმა შვილების აღზრდა ზნეობის სწავლებით უნდა დაიწყონ.
ვითა საკვები,ვითა წყალი,ისე დააპურონ ზნეობითა.
ზნეობა, ღირსება, სამშობლო.
დაკარგული სამშობლოს დაბრუნება შესაძლებელია ღირსებითა.
უზნეო ადამიანსა ვერ ექნება ღირსება,ვერცა ქვეყანასა ეპატრონება.
უზნეო და უღირსი ხალხი,ვითა ჯოგი ღორისა,ისე დაძრწის ფაშვის ამოსავსებადა,
დღისით თუ ღამე თან სდევს შიში და ძრწოლა,სანამ არ მოუღებს ბოლოს მგელი თუ აფთარი.
ადამიანი ზნეობას მოკლებული,ვითა ნადირი და ვითა ტყიური.
ზნეობის დაკარგვით იწყება დაცემა და დაქვეითება,ბოლოს სასჯელად გადაგვარება.
ღირსეულისა სამარე სჯობს,უღირსისა სასახლესა.
კრულია დედა ღირსების გარეშე.
დაკარგულია შვილი ზნეობას მოკლებული.
ადრე სიკვდილი ჯობია,გვიან ღირსების დაკარგვასა.
დაკარგული ღირსება იგივე სიკვდილია,უფრო მძიმე და საშინელი.
უღირსის სიკეთე არ დაიჯერება,სიკეთე ზნეობაშია.
ერის გახრწნა მოასწავებს ბერის გახრწნასა.
ბერის სიკვდილსა მოსდევს სიკვდილი ერისა.

გამოთხოვება

მე ვერ ვიცანი ვანენი,თვითონ მიცნა.ცრემლი მომადგა თვალთა.

თვენი და ვერაგი რიცხვები

დემნა,თეკლე,ივანე,თამარი,ვანენი,ვახახი,ცაცი,ცუარი,ნაზი, მართა,ხათუთა,ვარდანი, ნაზი.. კიდე მრავალი.

ასე გავიდა ცხოვრება.დარჩა ზნეობა.

ქმნილი და ნათქვამი.

შარშან ვიყავი ფლატესა,ტობასა,

მე ვესტუმრე ყვარყარესა.

მე ლაშას შვილსა დავუმალე,არ ვუთხარი.არ იფიქროს,რომ მივატოვე.

მე მამის სამარესა მიწა მივაყარე.

მე მშობელთა სამარედან მიწა ავიღე,უნდა წავიღო.

მე მინდა შემინდოს დემნამ,თეკლე რომ დავტოვე მარტო.

მე სამუდამოდ ვტოვებ სამშობლოსა,ვტოვებ მშობლიერ მთასა და ბარსა.

მე ვუტოვებ სამეფოს ნარინსა და ლაშას შვილსა,ვტოვებ ყველაფერსა.

მე სამოსელის ამარა მივდივარ მარტოდ მარტო.

ღმერთსა ებარებოდეთ.

ამინ

სტრიქონი 5.1

თურმე

თურმე ტობას დაიბადა ბოცოს დაი,საცოდავი.ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი მეფე დავითსა,ბოცოს სიძესა.

თურმე დაკრძალეს თავისავე მამულსა საფარასა.

თურმე ოცდარვა აგვისტოს,მარიამობასა სტუმრად იყვნენ ორბელის მამულსა აბოცსა.

თურმე ივანემ უთხრა მეფესა,შავი დღე მომელის, რამე რომ დაგიშავდესო.

თურმე შეცბა ბოცო, უთხრა სიძესა, დავით მეფესა, ესენი რამე ხაფანგს არ გვიგებდნენო.

თურმე მეფემ უთხრა მე თუ მომწამლეს,შენ წვეთი არ დალიო,ქეს დემნას მიმიხედეო.

თურმე მეფემ ჩუმად უთხრა ბოცოსა,ხმალსა შეგარტყამო, თუ მომწამლეს, გაღწევა რომ შეგეძლოსო. მე რომ გავაწბილო ორბელი, უფრო საშიში იქნებაო.

თურმე თამადა, ბოცოს ძველი მტერი ჩახრუხასძე ყოფილა.

თურმე იმ ღამეს ბოცოს არცერთი წვეთი არ დაუღევია.

თურმე წამოდგა თამადა ჩახრუხასძე, მოითხოვაო ფიალა და შესვა უფალი მეფის სადღეგრძელო.შემდეგ გადააწოდა ორბელსა, იმანაც შესვაო ბოლომდე.

თურმე ბოცომ მოკრძალებული უარი უთხრა,ღვიძლი მოიმიზეზა.

თურმე მეფემ მადლობა შესწირა და ბოლომდე გამოსცალა ფიალა.

თურმე ცოტა ხნის შემდეგ მეფე შეუძლოდ შეიქმნა.

თურმე მერვე დღეს განუტევა სული.

თურმე მოწამლეს მეფე დავითი.

თურმე ივანე ორბელის სიძვის დიაცმან ასპიტის შხამი დააღევინა.

თურმე ბოცო ჩუმად წვალეებით დაუსხლტა და ღამე გამოაღწია სამშვიდობოსა.

თურმე შეუთვალა ივანე ორბელსა, ჩემი სიძის სიცოცხლეს
გაზღვევინებო
თურმე ბოცოს ერთი წუთი არ უფიქრია. ღამე დაეცა და
წაართვა ტაშირი.
თურმე მეფე დავითის ძმამან, ობოლი უფლისწული, ივანე
ორბელსა მისცა აღსაზრდელადა. იმან მოიყვანა ტობასა
დავამთავრე ქართული კალენდარი დონ 1233 წელი

ქართული ვაი და ქართული ვუი ჭორნი და სიმართლენი

თურმე უთქვამთ, რომ მე არ მცოდნია კარგად ქართული.
თურმე დემნას ქვრივი, თეკლე არ წასულა მონასტერსა.
თურმე მე დამიღუპნია თამარი.
თურმე მომიპარნია საჭურჭლენი ქვეყნისა.
თურმე კინაღამ მომიკლავს თამარის დაი, რუსუდანი.
თურმე მე ვურჩიე ამბოხი დემნასა.
თურმე ვულალატე ლაშასა.
თურმე არ მყვარებია არავინ, არცა თამარი.
თურმე არ მყოლია შვილი.
თურმე ავიკელი შაოსანი დედა და დაი.
თურმე უარვყავი ქრისტე და დავგმე უფალი.
თურმე მეფესა თამარს მე მოვუკალი შვილი.
თურმე არ ვიყავი პოეტი.
თურმე მუდამ ქონების მოხვეჭას ვესწრაფოდი.
თურმე მე მოვარღვიე ბჭენი ციხესა არსიანსა.
თურმე არ მიღუაწია ქვეყნისთვისა.
თურმე მომიპარავს კალენდარი.
თურმე გავექეცი ხაზართა შემოსევასა.
თურმე აღარ ვყოფილვარ მოკვდავთა შორისა.

სტრიქონი 5.2

მოვხატე მთასა

ჩემი პირველი ნახატი იყო ავთანდილი.
იმის მერე ზემოთ დავხატე ტარიელი, ქვევით მისივე ცხენი.
იმას სამი თვე ვხატავდი, რადგან წვიმდა და მზის ჩრდილი
კარგად არ ჩნდებოდა.
ზემოთ ირმის თავია. ის ირემია რომელსაც ვუმკურნალე.
მერე მთვარეა დიდი. ჩნდება როცა ჩადის მზე.
მთის თავზე ოტარიდი.
დაბლა ფერდზე დონი ჩემივე მზის და მთავრის კალენდარი.
მე დონი ხელთა მიპყრია.
დონის თავზე ორი ქორბუდა ირემი.
მე ვზი ქვემოთ, გარს მარტყია გული.
ჩემს ზემოთ ცოტა მაღლა არის დემნა.
წინ ფერდსა დასავლით ორი ცხენი.
დაბლა ტბასთან ასპიტი გულსა შემოხვეული.
ფარდას დასავლით ორი მონა ზანგი.
მზის ჩასვლისას ტბაზე დიდი მთვარე გამოისახება.
გზის ქვემოთა მე ვარ ანაფორაში. ქუდით თავზე, ანაფორა
წითელი ფერისა, ქუდი თეთრი.
ფარდაზე დიდი ვეფხვი და ქაჯეთის ციხეა.
მეფე თამარი და მისი ყელსაბამი.
გზაზე ქარავანი ჯორ აქლემებით დატვირთული, წინ სპილო
მიუძღვება.
მე ვზი ჯორზე ამხედრებული, თავზე თეთრი ქუდი.
ქვედა ტბის ზემოთ გადის მაღლა ბილიკი, ეს არის ასო ნიშანი
ლასი, დიდია.
ფერდის გასწვრივ დიდი ლოსი, გარს მგლების ხროვა ახვევია
ლასის ზემოთ მე მიმავალი, თეთრი სპარსული ქუდითა.
წინ ლამაზი ძროხა და ზორბა დათვი.
ზემოთ ზორბა ქოფაკი, წინ აფთარი.
დაბლა გზამდე გალავანი ციხისა, შიგნით მე ხუჭუჭი თმე-
ბით, დაღონებული.

ტბასა ორაგული,წყლიდან ამოფრენილი.

მოვიდა ჟამი

ჟამი მეორედ მოსვლისა 7867 წ

მეორედ ველარ მოვალ

სტრიქონი 5.3

ვარ მხატვარი

თვრამეტ თვეს ავად იყო თამარი,მერე მოკვდა.

თამარმა აღარ ინება მეფობა.გაამეფა ლაშა.

ვერ მივიდოდი.მენატრებოდა.ცოცხალი ველარ ვიხილე.

თამარი მართლა გულით მიყვარდა.ვალმერთებდი.

მეყანდა ვითა მეგობარი.ჩემთვის იყო ყველაფერი.

მოკვდა თამარი,არ იგლოვეს ყოველთა მხარეთა.

დაასვენეს სვეტიცხოველსა.მუნ იგლოვეს სამი დღე.

მერე გადაასვენეს გელათსა,გლოვა იყო სამი დღე.

მუნ დამარხეს.

თამარის ფრესკა სიყვარულით მოვხატე ვარძიასა,საფარასა,

ბანძასა,დოლისყანასა,მარტყოფსა,გრემსა.

მე ვარ მხატვარი, შოთა.

დავრჩი მარტოდ მარტო.ვიყავი ვითა გრძნეული.

მრავალი ჭირი გადამხდა თავსა,არ დამიყრია ფარ-ხმალი.

მიზნად დავისახე ბრძოლა სიკვდილამდე.

ხან მთასა მეძინა,ხან ბარსა.ვირზე და ფეხზე მდგარსა

ჩამძინებია დაქანცულსა.

მოკვდა ლაშას ცოლი,მომიკვდა ლაშა.

ნაწვიმარი ტანზე მაშრებოდა,ყინვასა და სიცივეში.

მზის ხვატსა თუ თქეშში ვაგრძელებდი მოხატვასა.

მხარი მეღრმო ვარძიასა.ფეხი მოვიტეხე მზვარესა.

ქამარზე მქონდა ჩამოკიდებული მრავალი ფერი

მოვხატე ყველგანა.

ხვარაზმელთა მოსვლამ მაიძულა მოვბრუნებულიყავი.

მტერმა იავარყო სამეფო.ყველგან ისმოდა ქართველთა მოთქმა.

ვერ დავრჩებოდი იერუსალიმსა.მოვედი ჩემსა ქვეყანასა.

მეფე ლაშა ებრძოდა მტერსა.

მხარგრძელთა ღალატმან შეარყია მეფის ძლიერება.

მოღალატენი ჩასაფრებულნი იყვნენ ყველგანა.

წავედი ყაენთანა ულუს მოსაყვანადა.

მეგზურობას ყვარყვარე და გაგელი მიწევდნენ.

ჩამოვიყვანეთ ტახტის მემკვიდრე.

ჩემი რძალი ვერ ვინახულე,ისე მოკვდა.

ილხანთა სამეფოში

დაჩი ჩორჩანელი და იოანე ზოსიმე ძმანი იყვნენ.

წავედი ხვარაზმელთა ვითა ელჩი და ვითა პატრონი.

მომიხდა მარხვის ჩაგდება.ჩავედი ხვარაზმელთა ვითა ელჩი

ილხანთა სამთავროში მიმიღეს დიდი პატივითა.იცოდნენ

ჩემი სახელი.

მოვიდა მაცნე მათივე პოეტისა,ხაფეზისა.მომახსენა მისივე დანაბარები.

დიდი პატივი იქნება მისთვის თუ ესტუმრებითო.

პასუხად შევუთვალე,მოუთმენლად ველი დიდ პოეტთან

პირისპირ შეხვედრასა,აუცილებლად გესტუმრებით თქო.

მანამდე ჩემსა მხლებელთა ჩუმად მოვაკითხვინე ქართველი

უფლისწულის დაკარგვის ამბავი.

მათვე ოსტატურად გამოარკვიეს ყოველივე.

მოიტანეს ამბავი.

თურმე მეფესა,რუსუდანსა დავითი გაუგზავნია ილხანთა

მეფესთანა,თავისივე შვილის თანმხლებადა.

მიუწერნია ვერაგული წერილი ყაენისათვისა ვითომ

უფლისწული დავითი,მისივე თამარის საყვარელიაო ამიტომ

მოკალი და დამარხე მანდ ვითა მონაო.

გაჯავრებულა ყაენი და დაუპირებია დავითის მოკვლა.

თამარმა დიდი ძალისხმევით გადაათქმევინა, დიდ პატივს სცემდაო თურმე.

ეს შეუტყვია რუსუდანსა, ახალი წერილი მისწერა თურმე ყაენსა.

ნუ ენდობი თამარსა, მისივე საყვარელსა ფარავსო.

აღარ გაჭრა თამარის თხოვნამა.

ყაენმა ამოათხრევინა დიდი ორმო, შიგ ჩააგდო თურმე უფლისწული დავითი.

ზემოდან დიდი ქვის ლოდის დადებაც უბრძანა თურმე.

მისი საქციელი წამებით სიკვდილს იმსახურებსო.

წაუყვანიათ და იმავე ხაროში ჩაუსვიათ უფლისწული.

შვიდი წელია გასული მას შემდგომო მითხრეს.

რას წარმოვიდგენდი ასე შორს წამოსულს ასეთ ვერაგობას თუ გავიგებდი.

ჯერ იყო და შვილი წამართვეს, ახლა ჯერი შვილიშვილზე მიდგა.

მერამდენედ წამერთვა ხელ-ფეხი, მერამდენედ მომკლეს ცოცხალი.

ვერ ვიგებდი როგორ ვახერხებდი ისევ ფეხზე დგომასა.

აღარც ხაფეზის ნახვა მინდოდა, არც სხვა რამ. არადა პირობა მიცემული მქონდა იმისთვისა.

ერთი დღე გადავდე, მოვუბოდიშე თან შევეუთვალე. მაპატიეთ ასაკში ვარ. მგზავრობამ გადამლალა. თავსა ცოტათი შეუძლოდ ვგრძნობ. დავისვენებ და აუცილებლად გესტუმრები თქო.

მეორე დღესა მოვიდა ერთი პირდაბურული ვინმე ყმა.

დაუყოვნებლივ ითხოვდა ჩემთან შეხვედრასა.

მე დაღონებული ვიყავი, არავის ნახვა აღარ მინდოდა.

ის ისევე დაჟინებით ითხოვდა მხოლოდ ჩემს ნახვასა.

ძალზე მნიშვნელოვანი სათქმელი მაქვსო, სხვას ვერ ვეტყვიო.

მოვიხმე ჩემთან, უჩვეულოდ აღელვებული იყო. თავს ვერ უყრიდა სათქმელსა, თან ტიროდა. თვალთაგან ცრემლნი

დაპა-ლუპით ჩამოსდიოდა.დავამშვიდე,თქვი რა გინდა თქო ვუთხარი.

მითხრა: მე ვარო უფლისწულის,დავითის ყოფილი მონაო. უფლისწული ცოცხალიაო, რომ შეიპყრეს,მე ჩუმად შორიდან უკან მივსდევდიო.

დავიმახსოვრე ის ადგილი,სადაც ხარო არისო.

იმ დღის შემდეგ,ყოველ შაბათ დღეს ღამე მივდივარ და ჩუმად ჩემსავე გათხრილი ხვრელიდან პურსა და წყალს ვაგდებო.

ყაენს თუ დაიყოლიებთ,ადილსა მე გაჩვენებთო.

ჯავრი სიხარულმან დამავიწყა.პირველად ავტირდი დაუფარავად.

ახლა სიხარულმა წამართვა,ხელ-ფეხი.ბოლომდე არ მეჯერა,არცა ვკარგავდი იმედსა.

თავი ზღაპარში მეგონა.გავაღვიძე ჩემივე მხლებელნი. წავედით იმ ხაროს სანახავადა.

ცხენები შორს დავტოვეთ.ჩუმად მივედით ფეხითა.

ჩუმად ჩავძახე ხაროს შიგნითა.ხმა მომესმა.ცას ვეწიეთ სიხარულითა.

ყმამან თქვა გავეცალოთ, არ შეგვნიშნონ დარაჯთაო.

ჩქარა გავეცალეთ იქურობასა.

მეორე დღეს მაცნე გავუგზავნე ხაფეხსა.შემიძლიან თქვენი მონახულება,თუ ინებებ თქო.

მივედი ხაფეხთანა.დიდი მოწიწებით წამოდგა და გადამეხვია.

პოეტთა შორის უპირველესი,თვით შოთა რუსთველიაო ჩემი სტუმარი, განუცხადა.

თვითონ ფეხმორთხმით დაჯდა. მე პატარა დაბალი ჯვალოთი შეკერილი დასჯდომი შემომთავაზა.როგორმე მოვახერხე დაჯდომა.

მომიკითხა.როგორ ხარო,დაგღალა ალბათ მგზავრობამაო.

მადლობა მოვახსენე,მეც მოვიკითხე და შევუქე კალამი.

რატომ გარჯილხარ, ამოდენა გზა გამოიარე, ფრიად მნიშვნელოვანი საქმე გქონიათო.

მოღალატეთა მიერ დაგებული ხაფანგით, და ვერაგი ცილისწამებითა თქვენსა პატრონსა შეუპყრია ჩვენი უფლისწული დავითი.

მოვედით ვითა ელჩი, რათა ვითხოვოთ დიდი ყაენისაგან მისი გათავისუფლება თქო.

თან არ დამიძალნია, ჩემივე შვილიშვილია თქო.

მოვუყევი როგორ მომიკლეს შვილი, მაგისივე მამა თქო. ვუთხარი ხარჯსა გავიღებთ თქო.

ხაფეზი დაღონებული მისმენდა, ხმა არ ამოუღია. ფიქრობდა. ბოლოს თქვა.

ვიცი ყაენსა დიდი ხათრი აქვს ჩემიო, გამიხარდება თუ მოვახერხებ დარწმუნებასო.

გვიმასპინძლა ხაფეზმა. დაღამებამდე წამოვედით.

ის ღამე თეთრად გავათენე.

ვფიქრობდი ვაი თუ უარი უთხრას მაგასა. ნეტავი არ მეთქვა და მეცადა ქრთამით გამოხსნა. ან მეცადა მისი მოტაცება.

არ გათენდა. აღარ მითმენდა გული.

როგორ ვერ უნდა შევძლო შვილიშვილის ცოცხლად გამოხსნა თქო.

გათენებამდე ათასი გზა და ხერხი მოვიფიქრე.

გადაწყვეტილი მქონდა ცოცხალი თავით არ წამოვსულიყავი, თუ ვერ გამოვიხსნიდი დავითსა.

ასე ვაწყობდი გეგმებსა დავითის გამოსახსნელადა.

მოვიდა მაცნე ხაფეზისა.

მიუცია უფლება ყაენსა, ცოცხალი აღარ არის და მკვდარი სადაც გინდათ წაიღეთო.

ვფიქრობდი ნუთუ ბოროტი ხუმრობა იყო, და სულაც არ არი იქ ჩემი შვილიშვილი თქო.

შევუთვალე ხაფეზსა, დაგვდე პატივი ისევ გინახულო თქო.

მიპასუხა: შოთა რუსთველისათვის ჩემი სახლის ყველა კარი ღიააო.

მადლობა შევუთვალე და ისევ მივედი ხაფეზთანა.
ისევ დიდი პატივით მიგვიღო. მიმტკიცებდა აღარ არის
ცოცხალიო.
მე ვუთხარი: თუ უფალმა ინება და ცოცხალი დამხვდა, პი-
რობა მომეცი რომ მიანიჭებთ თავისუფლებას თქო. თუ ვერ
შემძლებ, ნუ დამპირდები თქო.
გაელიმა ხაფეზსა, მითხრა შაბათამდე დაიცადე, მანამდე
მოგიგვარებო, დამპირდა.
ვერ ვითმენდი შაბათამდე.
პარასკევს მოვიდა მაცნე. გადაწყვეტილიაო. მკვდარია თუ
ცოცხალი, შეგიძლიათ წაიყვანოთო.
წავედით შაბათსა.
დარაჯთა მიგვიყვანეს ორმომდე.
მივიტანეთ დიდი ძელი და გადვწიეთ ლოდი.
ჩავიხედეთ ორმომში. თითქმის პირთამდე სავსე იყო შარდით
და ტრაწითა.
ამოვიყვანეთ.
ადამიანის არ ქონდა შერჩენილი არაფერი. დარაჯთა ვერ
გაბედეს ახლოს მისვლა.
დედიშობილა, შარდსა და ტრაწსა დაეწვა მთლიანდ, თვალ-
წარბი არ უჩანდა, წვერი ტანზე ქონდა შემოხვეული.
ფუნა მიმხმარი მთელს სხეულზე, ლამის ძვლები მოუჩანდა
კბილები შავი. საშინელ არსებას გავდა.
ცრემლები ღაპა-ღუპიტ მომდიოდა, ვერ ვიკავებდი.
ნულა ტირიო თქვა, გაიხარეთ, გადავრჩიო.
ტანზე შალი შემოვახვიეთ და წამოვიყვანეთ. დავბანეთ. თმა
და წვერი მოვაშორეთ.
ველარ დადიოდა, ჯდომას წაერთვა ფეხები.
თვრამეტი თვე დავყავით მგზავრობასა.

სტრიქონი 6.1

ცილი დამწამეს

დაიბადა დავარი ოვსეთსა, მეორე და რუსუდან.
თავიდანვე მეფედ ზრდიდნენ თამარსა.
სამივე დასა მამიდა რუსუდანი ზრდიდა.
დავარ ბოზი, თურმე მაზლი ყოლია საყვარლადა.
პირველად თამარი რომ ვნახე დამბლა დამეცა.
მომწუსხა მისმა სილამაზემა. მას არ დავუნახივარ.
მეორედ ბოცოსთან ცოლის დღეობაზე შევხვდი.
იქ იყვნენ მისივე დანი და ყველა მისი ნათესავი.
მალულად ვუცქერდი, არაბუნებრივად ლამაზი იყო.
დემნაც იქ იყო. ისიც ნასვამი.
დემნამ გამაცნო თამარი, მომისვა გვერდითა.
იმ ღამეს ბევრი დავლიეთ. მთვრალნი ვიყავით ყველანი.
ვუმღეროდით სიყვარულსა, ვშაირობდით.
ბოლოს მორჩა ნადიმი. სტუმარნი ნელ-ნელა მიდიოდ-
ნენ. წავიდნენ სამივე დანი.
ღამე დაბრუნდა მამიდა რუსუდანი. თმა ჰქონდა აბურ-
მგნული.
გარეთ მთხოვა გაყოლა, გავედით ეზოსა, სიბნელე იყო.
მეცა და დამიწყო ხვევნა, მკოცნიდა და მიხუტებდა გულსა.
უნდოდა ამეხადა ნამუსი. მე არ ვიცნობდი, არ მინდოდა.
თურმე ავხორცი და ბოზიც ყოფილა. მე მოვიმორე და
დავბრუნდი ბოცოსთანა.
გავიდა ცოტა ხანი და დაკოდეს დემნა.
მე დამაბრალეს თითქოს თამართან მინდოდა სიყვარული.
თმები ყალყზე დამიდგა, რატომ მაკადრეს ამისთანა ამაზ-
რზენი ბრალი.
მერჩივნა მოვეკალი. არც ბოცომ დამიჯერა, როგორ მაკადრეო
მალე მეფე გიორგის ბძანებით დამატუსადეს. ჩამკეტეს
თმოგვის ციხესა.
ხუთი წელი ვიყავი იქა. ორიც რუსთავსა. ტუსადად შვიდი
წელი დავყავი.

შვიდი წელი ვეძებდი სამართალსა.შვიდი წელი მექცეოდნენ ვითა ყმასა.

ლამის მომეკლა თავი.

თამარს ვუმაღლი,იმან დამიბრუნა თავისუფლება.

დამიბარა თამარმა

დამიბარა თავისთან გაგელის პირითა.მთხოვა მეთარგმნა მათეს სახარება.

მე პირობა მივეცი და ვუთხარი,რომ მალე დავიწყებდი. წავედი გელათსა და დავიწყე თარგმნა სახარებისა.

მეორედ დამიბარა,მივედი მასთანა.

მითხრა თუ შემეძლო,ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული სასაუბრო ლექსიკონის შექმნა.

ვუთხარი ადვილი არ იქნება,მაგრამ ვეცდები შევასრულო თქო.

თვითონაც დამპირდა დახმარებასა.

წამოსვლისას თამარმა მითხრა მეთქვა ჩემი ძმის, ვარდანისთვისა,რომ მეფესა სურდა მისი ნახვა.

მივიდა ვარდანი მეფესთანა,მეც მიახლა.

ჩემი ძმა მიიღო მეფემან,მე გარეთ დამტოვა.იქვე ველოდებოდი.

მერე ჩემი ძმა გამოვიდა და ერთად შევედით თამართანა.

მივესალმე.

სამივენი ჩუმად ვიყავით.

მერე თამარმა ანიშნა ჩემივე ძმასა და ისიც გავიდა გარეთა.

ვერ გავიგე რა მოხდა,რისთვის დაიბარა ჩემი ძმა,ან რა სურდა ჩემგან მეფესა.

ცოტა ხანი ჩუმად იყო თამარი.იღგა და მიცქეროდა,ხმას არ იღებდა.

მე ვერ ვკადრებდი მეფესა,მეკითხა მიზეზი ჩემი მიყვანისა.

ცოტა ხნის მერე მითხრა,მომეყოლა თუ რა მოხდა ბოცოს სახლში. იმ ღამესა

მე ვიცრუე, არ ვუთხარი.

მან თქვა, ვიცი რაც მოხდაო, შენ ცამდე მართალი იყავიო, ამიტომაც ხარ დღეს აქ, ჩემთანო.

თამარს მოწიწებით მადლობა ვუთხარი.

მომიწონა საქციელი და მითხრა, რომ გაუგია ამ ამბის შესახებ, ჩემს მიმართ დიდი პატივისცემა ჰქონია თურმე.

მერე მიტრიალდა და ცრემლი დამალა, მეც მივტრიალდი, არ მინდოდა უხერხულად ეგრძნო თავი.

ცოტა ხნის შემდეგ ხმა ამოიღო, თვალთაგან მდუღარე ცრემლი სდიოდა.

თქვა მამაჩემის ძე მე ვარო. დამალა ამდენმა სიცრუემ და ამდენი მეძავის გარემოცვამო, მძულს ჩემი ქალად დაბადების დღეო.

ცრემლი თვალთაგან ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

მძიმედ განვიცადე, მეფისა და ასეთი ლამაზი ქალის მძიმე დღეში ხილვა.

ვერავის სიტყვას ვეღარ ვენდობი, ყველგან სიცრუე, ღალატი და სისასტიკეაო.

ახლა დაიჩემეს, ვიღაც რუსის მეფის ძეს უნდა მიმათხოვონო.

ძმა მე არ მყავსო, დემნაც აღარ არი ცოცხალიო, სანდო არ მყავს არავინო.

რა მეთქვა არ ვიცოდი, ბოლოს შევკადრე, თუ მენდობი მიგულე შენს სამსახურში თქო.

თავისუფლება მაჩუქე, დირსება დამიბრუნე, სამუდამოდ შენი ერთგული ვიქნები მეთქი, ვუთხარი.

უცებ მოტრიალდა, ანაზღად მომეხვია და მაკოცა და თქვა ნეტავ შემეძლოს შენს გვერდით ყოფნაო.

გავშრი, წამერთვა ძალი და ღონე, არ ვიცოდი რა მეპასუხა.

ენას ვერ ვაბრუნებდი, ბოლოს ამოვღერდე, მეც ვინატრებდი შენთან ყოფნას თქო. შემომხედა, ცრემლი შეიშრო, ეს არ მოხდებაო, თქვა.

დამძიმებული წამოვედი.

ვეცრუე ჩემივე ძმასა, ვუთხარი სახარების თარგმნაზე ვისაუბრეთ თქო.

მას მერე ჩუმად, ჩემთვის ვატარებდი გულით თამარის სიყვარულსა.

სტრიქონი 6.2

ჯვრის მონასტერსა

მერე ათი თვე არ მინახია თამარი.

ათი თვე მოვანდომე მათეს სახარების თარგმნასა.

მათეს სახარება პირველი იყო.

დრო მალე გავიდა.

ათი თვის მერე მივედი ბეთანიის მონასტერსა.

რთველი იყო.

მივედი ბეთანიასა, თამარი ჯვრის მონასტერსა წასული-
ყო. მუნ დამიბარა.

მივედი ჯვრის მონასტერსა, იმასთანა.

ცოტათი დაბნეული ჩანდა, თვალთაგან ცრემლი სდიო-
და, ტიროდა.

მითხრა აქ დაჯექიო. დავჯექი უსიტყვოდა.

გვერდით ჩამოჯდა. ჩუმად ქვითინებდა.

მერე წამოდგა, წითელი ღვინო დაისხა, მეც მომაწოდა.

ჩამოჯდა ჩემთანა, დავლიეთ, მეორე, მესამე, ცოტა მთვრალი
იყო, ისევ ტიროდა.

მერე მითხრა, არ ვიცი რა ვქნა, როგორ მოვიქცეო.

გიორგი, ჩემივე ქმარი ღორის ნაშიერი გამოდგაო, სოდომის
ცოდვათა მქმნელი ყოფილაო, ჯერ დასდევდა ყრმათაო, მერე
სპათაო, ახლა ჯორ აქლემთა მისწვდაო, ქათამთა, ცათა
ფრინველთაც აღარ ინდობსო.

სპანი და ვეზირთა წყრომას ველარ მალავენო.

დავიღალე, თუ არ ვიღონე რაიმე, მალე ამბოხი დაიწყებაო.

ვერ ვუძახელ ვერავისო, მესირცხვილებაო. მიჩიე რა ვქნა, რო-
გორ მოვიქცეო.

ისეთი ჯავრი და ბოღმა მქონდა წამოვარდი ანაზდად,თფუი, დავიძახე.

თუ მიბრძანებ ღორივით დავკლავ თქო ვუთხარი.

პირჯვარი სამჯერ გადაიწერა თამარმა.ხელაპყრობით ევედრებოდა უფალსა,მაჩვენე გზა ხსნისაო.

მითხრა წყნარად:გიორგის სიკვდილი არ იქნება მთლად გონივრული საქციელიო.

სხვა გზა უნდა მოინახოსო.დამთავრდა,აღარ ვაპირებ მაგასთან ყოფნასაო.მისგან არც ძე მიწნდა და არც ასულიო.ღორისგან მისნაირი ღორი დაიბადებებო.

თამარი ვერ იტანდა გიორგისა.მალულად ბევრს ტიროდა.მათ ერთმანეთი არასდროს ყვარებიათ.

ძე თავსა ვერ ვიკავებდი,ბოღმა მახრჩობდა.ანთებული ვეფხვივით ბალანი აქოჩრილი მქონდა,მზად ვიყავი წავსულიყავი და ჩემივე ხელით დამეხრჩო.

თამარი მაწყენარებდა,არ მშველოდა.ვეუბნებოდი მიბრძანე მეფეე ბატონო,და მალე მისივე მძორსა ვათრევინებ იმავე ჯორთა და აქლემთა მეთქი.

თამარი წამოდგა.თასი ღვინით შეავსო და მომაწოდა.

ძე მისი სადღეგრძელო დავლია.ბოლომდე გამოვცალე. თქვენთა მტერთა მენახონ ასე დაცლილი თქო,ვუთხარი.

გაიღიმა,წინ მედგა ქალი ვითა მზე,ანათებდა.მოათრიეს ვიღაც ღორი,რომელიც აწამებდა.ძე მთელი სულითა და გულით მიყვარდა და ამას ვუცქერდი შორიდანა.

ორთავე თვალთა კოცონი მენთო,მუგუზალი ცვიოდა ორივესგანა.

ვერ ვპოულობდი ადგილსა.ვითა მძვინვარე ვეფხვი დავრძრწოდი.

უეცრად მომიახლოვდა თამარი,გაღიმებული.წვერზე ხელი მომისვა.

მომეკრა ტანით და ჩამჩურჩულა ჩუმად:დაწყნარდი ჩემო რაინდო,გავაგდებო თქვა.

ძე თავგზა მქონდა არეული სიხარულისგან, მივეხვიე.

თმა მთლად დასველებული ჰქონდა ცრემლისგანა.
უფალს მადლობას ვწირავდი ასეთი მოულოდნელი წყალო-
ზისთვისა.

მთვრალი ვიყავი და გავუბედე, დღემდე გულსა ვიმარხავდი
შენდამი გრძნობასა. ჩემსა უიმედო სიყვარულსა.

ახლა გეტყვი თავზე მეტად მიყვარხარ თქო.

იმავე ღამეს დავწექით ერთად.

მეორე დღეს ჩუმიად გავიპარე მონასტრიდანა მოახლე მართას
დახმარებითა.

სტრიქონი 6.3

საწყისი და სასრული

მე დავეწერე კალენდარი, რწმენა და სარწმუნოება.

მე დავეწერე გალობანი სინანულისანი (მეფე თამარის
ბრძანებითა).

მე ვთარგმნე ძველი აღთქმა, მათეს სახარება, პითაგორას
მათემატიკა, პლატონის სოკრატეს აპოლოგია.

მე ვარ პოეტი კალმოსანი, შემიმუსრნია მგოსანნი, თამარი
ხატად დავსახე, ვიყავ ვით გვირგვინოსანი.

მე ახლა, ვარ მიხრწნილი ღრმა მოხუცი, ვზი ბაკოს
თავსა ხიხასა.

თხილვანასა, ნასახლევისა სამარესა ჩემივე დანი წვანან.

ვარხანსა, თეკლეს მამა.

ტობასა მარხიან ჩვენი წინაპარნი. პაპა და ბაბო.

ფურტიოსა, ღირსი მამა ზოსიმეს სოფელსა, მარხია ღალატით
მოკლული ბიძა ფალა.

თამარს კიბო და ფირტუისა წყლულება აღმოაჩნდა.

კიბო ბოროტი სნეულებაა

თამარმან მარხვა ბოლომდის დაიცვა. მისი ხათრითა ვიცავდი
მეცა.

ფალას ნათესავნი ტობას არიან დამარხულნი.

მე ვეღარ ვკითხულობ სოკრატესა.

მე ცუარის სამარე,ჩემი დის,ვანენის,გვერდით გავთხარე,
თხილვანასა.

მე ლაშა ვერ გადავარჩინე,ჩემი ბოკვერი.

მე ვიყავი თამართან სანამ გათხოვდებოდა.

მე სოსლანმა წამართვა თამარი.

მე ბოლოს ისევ წავართვი სოსლანსა.იმასა არ ყვარებია
თამარი.

მე დავარწმუნე თამარი,რომ მას სოსლანი დალატობდა.

მე ლაშას მკვლეელი კი არ მოვკალი,დავკალი.

მე არ შევხვედრივარ შახსა.

მე არ ვუთხარი თამარსა,რა სენი სჭირდა.ვერ ხვდებო-
და.სიკვდილსა ნატრულობდა

მე სიკვდილის წინ მკითხა თამარმა:ბოლოს კიდევ ერთხელ
მითხარი ხომ არ გილალატნია ჩემთვისო.კიდევ ვუთხარი არ
მილალატია თქო.

მე ახლა კიდევ ერთხელ ვამბობ:

მე თამარისთვის არასოდეს მილალატნია,არ მიფიქრია,ვერ
ვაკადრებდი.

მე თამარსა მივუძღვენი ჩემი სიცოცხლე ჩემივე ნებითა.მას
ეკუთვნოდა იგი.ბოლოს მწარედ იტირა,კინაღამ გული
გამისკდა.

მე ვიცი ფლატეს მარხია კალატოზი ბოლოვ ბასილი.

მე ლას დავარქვი ლაშასა.

მე გავაკეთე შვიდი ხიდი.

მე ავაშენე შვიდი ეკლესია.

მე დავხატე თამარის ფრესკები.

მე შემთხვევით ვნახე მარკოზის სახარება.

მე შემთხვევით წავედი ხვარაზმელთა.

მე შემთხვევით შევხვდი ლიპარიტსა.

მე შემთხვევით ვესროლე კახაბერსა,ავაცილე ყანჩასა,კინაღამ
მოვკალი კახაბერი.

მე შემთხვევით ვარ ამდენი ხნისა.

იყავით ფრთხილად:

შემთხვევას ბევრი რამ შეუძლიან. ფუჭია წუთისოფელი.
სიყვარული შობს სიყვარულსა, ბოროტების ნაშიერი, ისეთივე
ბოროტებაა.

ღალატმან შვა ღალატი, მოღალატემან ზღო ღალატითა.
ტოლია ღია და ჩუმი ღალატი, ნაშიერნი ტყუპნი არიან.
უღალატა ლიპარიტმან მეფე დავითსა.

უღალატა ბოცომან თამარსა.

უღალატა ივანე ორბელმან მეფე დავითსა.
მხარგრძელთა ღალატმან შეასუსტა სამეფო.

ბულა თურქმან დალაშქრა სომხეთი.

შემოიჭრა საქართველოში. აილო თბილისი.

პილატე პონტოელმან ხელები დაიბანა.

სოკრატემ საპყრობილესა შინა საწამლავი დალია.

მგლის ხროვა ვერ ჰგუობს ბატკანსა.

შურსა და მტობასა მოსდევს უფრო დიდი შური და მტრობა.
ალპობს, სპობს სულსა და ხორცსა, უკეთეს სამარისა ქვანი
ღაღადებენ.

არა იყვნეთ უმადურნი სიკეთისა.

ისწავლეთ ჩემგანა, მქონდა უთვალავი ქონება, ვარ სამოსელის
ამარა.

ისწავლეთ ქმნაი სიკეთისა, ასწავლეთ სხვათა. უმეტეს თქვენ-
ვე შვილთა. თქვენვე დაგიბრუნდებათ.

რაც შევუნდე, ის მომეტევა. რაც გავეცი, ის დამრჩა.

თუ რამ სიკეთე შევძელი, ის მაქვს მწედ და მეგობრად.

თუ რამ შევცოდე, თვალცრემლიანი და მდუმარე ვევედრები
უფალსა, მომიტევოს.

მე შევუნდე ყველასა. ყველასგან შენდობა არ მიმიღია.

შეუნდოს უფალმა მათ და მომიტევოს უფლმა მე შეცოდებანი
ჩემნი.

ვარ შავი ბერი

ყველაფერსა აქვს საწყისი და სასრული

სტრიქონი 7.2

თხამარი,თხავითი

მე ათი თვე ვთარგმნიდი მათეს სახარებასა.

მე ვთარგმნე ოთხთავი.

მე ღამე გავათენე დარდში,რომ გათხოვდა.ღალატი ვერ გავივლე გულსა.

მე გავიგე სხალთასა მისი გათხოვება.

მე არ დავინდე თამარი,რომ გათხოვდა და მიღალატა.

მე მხატვარი ვარ,მოვხატე მრგვალი მათივე სახენი,ტანი განიერი.

მე მისივე თმასა სხვა ტონი მივეცი,მაგრად ვიხალისე.

მე გავათახსირე ისინი,ვერ მიმიხვდნენ ქარაგმასა.

მე დავითი ტახსა დავამგვანე.ტორი დათვისა,თავი თხის ნეხვსა.ეგონათ ნერვთა მიღალატა.

მე მათი ნახვისას მაგრად ვხალისობდი.რომ ნახეს განრისხდნენ.გაგვამასხარავაო.

მე რომ გავიგე ავენთე,თვითონ მიღალატა,რქანი დამადგა თავსა.

მე მრგვალად მოხატვას მემართლებიან თქო. ხმა რომ ამოელო ვინმესა, დავმარხავდი.

მე ამასა დავარქვი თხამარი,იმასა თხავითი.

მე არ მოვხატავდი ვითა თხასა,რომ არ ეღალატა ჩემთვისა.

მე ვიყავი თავიდან თამართანა.

მე ათი თვის შემდგომ ისევ შევხვდი თამარსა.

მე მოვხატე ივლიტა.მოვიდა თამარი ივლიტასა.

მე რომ გავიგე დავიმალე.არ მიწოდდა მასთან შეხვედრა. მომძებნა,მომესალმა,გამიყვანა გარეთა.რძე მოგიტანეო მითხრა.

მე უარი ვერ შევხედე,გამოვართვი,მადლობა ვუთხარი.შავი დღე მაყარა,როგორ გამიბედე გამასხარავებაო.

მე არაფერი მითქვამს,ვიდექი მდუმარე.

მე ხმა გავიგე,ჩემივე ძმა მოდიოდა.დამინახა რომ ვიდექი თამართანა.

მე თამარმა მითხრა ახლა დაღლილი ვარო,ვარძიას მივა-
ლო.იქ ვიქნები და მოდიო.

მე შევაშინე ჩემივე ძმა.შენ გამაყიდვინებ სახლ-კარსაო
მითხრა.ფათერაკს გადაეყრები,ფრთხილად იყავიო.

დამტოვა და გზა განაგრძო.ჩემივე ძმამან გამყიდა მეორე
ძმასთანა.

მე დამიბარეს და გამასამართლეს, წააგებ თავ-
საო.დავიღუპებითო.პირზე რძე არ გაგშრობია და მეფეს
დაუპირე წაპოტინებაო,ტოლი და სწორიო.

მე რომ არ გავაგრძელო პირობა მივეცი ძმებსა,ამის შემდგომ
აღარ გავეკარები თქო.

მე დაღონებული და დაძიმებული წამოვედი მაგათგანა.

მე მეორე დღეს მივედი ვარძიასა,მიმიღო თამარმა.კარი
მსახურმა გამიღო.

თამარმა ხმა გაიგონა და მიმიწვია თავისთანა,გრძელ
მაგიდასთანა.

მაგიდას ზედა ელაგა თევზი,ზუთხი,ბოლოს კალმახი და
წითელი ღვინო.

მითხრა დამეწვიეო.

მე მადლობა ვუთხარი,არ მქონდა არაფრის ხასიათი.აღარ
დაუძალებია,თვითონ მადიანად მიირთმევდა.

მე ვიჯექი,თავი მეზიზღებოდა,აქეთ თამარმა მიღალა-
ტა,იქეთ ჩემი ძმანი მემუქრებოდნენ.თამარმა თავი აიღო და
მითხრა,ასეთი რამ როგორ გაბედეო.

ძვირად დაგიჯდება,დავითი მაგრად გამწარდაო. გაზ-
ღვევინებსო. ყმაწვილი შენ აღარ ხარ,ამას რა მოყვებოდა,არ
გიფიქრიაო.წადი გაწმინდე და ხელახლა მოხატე,თუ გინდა
გადარჩეო.

მე ვუთხარი დამნაშავე ვარ,მეტი მომივიდა თქო.

მე ხელახლა მოვხატავ თქო,ვუთხარი, და დავაპირე
წამოდგომა.

მე მითხრა იყავი,სხვა საქმე მაქვს შენთანო.ვარძიას როდის
დაიწყებო.

მე ტობას და ივლიტას მოვრჩები და ვარძიას მერე დავიწყებ
თქო ვუთხარი.

მერე ჩამოვარდა სიჩუმე,თამარი ფიქრობდა თავისთვის,მე
ჩემთვისა.

მე ვფიქრობდი,რახან ვარძიას მოხატვის პირობა მივეცი,და-
ვასრულებ და მეტს აღარ მოვხატავ თქო. გავიდა პატარა ხანი.
მე მოკრძალებით შევკადრე,თუ შეიძლება წავალ თქო.
მეტყობოდა, რომ არ ვიყავი ხასიათზე.

მე მითხრა თამარმა,არა ასე ვერ გაგიშვებო,უნდა დაგე-
ლაპარაკო.ხასიათზე რომ მოვიდეთ,ცოტა ღვინო ხომ არ
დაგველიაო.არაფერი მითქვამს.

აიღო ორი თასი.დაასხა და მომაწოდა, მადლობა ვუთხარი.

შენი სადღეგრძელო იყოსო თქვა,მადლობა ვუთხარი

მეფე თამარს გაუმარჯოს,ვთქვი და დავლიე.

ვიცი რომ ნაწყენი,ხარ, ვერ დავიცავი პირობა.

შენ მართალი ხარო,

არ გაგამტყუნებ,პირველი შენ იყავიო,მაგრამ ხომ უნდა
გესმოდეს,რომ ქალი ვარ და ხელმწიფე,განა მაქვს უფლება
ვთქვა არ მომწონს არ მინდაო.

ამბობენ ქვეყანას ასე სჭირდებაო.

იმ დღეს ვარძიასა

იმ დღეს მითხრა თამარმა:

აკი გითხარი ჩემი ქალად გაჩენის დღე დაიწვას თქო. ამდენი მეძავის გვერდით, ლამის მეც მეძავად მაქციონო. ჯერ იყო და მოათრიეს ის ღორი, ქვეყნისათვის ასე სჯობიაო.

ახლა მომიყვანეს მეორე მოზვერი, სამეფო საქმენი ასე მოითხოვსო. თავი ქოფაკი ძაღლი მგონიაო. თუ გაჯიქდა ნამდვილი ვირიაო. მართებულად დაგიხატავსო, მაგრამ მე რას მერჩოდო, გაელიმა. დამარბენინებსო აღმა-დაღმა, ვითა მაწანწალაო, სიყვარული მაგან არ იცის და მოფერებაო. დამაყენებს და ხარივით მეჯაჯგურებაო. დამაწყვიტა ნერვებიო. ძვლ-რბილი მტკივაო. ვითა ზებრა მომაქციაო. მძულს და ვეღარ ვიტანო.

რომ წარმოვიდგენ, რომ მემკვიდრე მისნაირი უნდა მყავდეს, მზარავს. არ მინდა მაგისგან მყავდეს მემკვიდრე, რომელიც ხვალ მეფე გახდებოდაო თქვა.

იმ დღეს მე ვერ გავიგე რისი თქმა სურდა. მესამე ქმარს თხოულობდა, თუ რას აპირებდა.

იმ დღეს მე დაბნეულმა ვიკითხე, ნუთუ მემკვიდრის გარეშე აპირებ დარჩენას თქო.

იმ დღეს შემომხედა გაჯავრებულმა, თქვა არაო.

იმ დღეს მითხრა მინდა მყავდეს ძე და შენ იყო ჩემი მემკვიდრის მამაო. ოღონდ უნდა დამპირდე, რომ ბოლომდე მიერთგულეზო.

იმ დღეს ლამის ენა ჩამივარდა, ძარღვები გამეყინა, ვერ ვახერხებდი რაიმეს თქმასა.

იმ დღეს ვუთხარი თამარსა: ამას არ მიიღებს სამეფო, დიდებულები არ შეეგუებიან, ამბოხს დაიწყებენ თქო.

იმ დღეს მომიგო თამარმა. მიიღებენ და იგუებენო, ვითა დავითის შვილსაო.

იმ დღეს გამაფრთხილა მეფემან, ჩვენს მეტი არავინ უნდა იცოდესო.

იმ დღეს გაოგნებული ვუსმენდი,

იმ დღეს უმწეო ქალი აღარ იდგა წინაშე ჩემსა, უფრო მძვინვარე ძუ ლომი.

იმ დღეს შევკადრე თამარსა, რამდენად მართებული იქნება ეს თქო, მე ხომ ბევრი არაფერი გამაჩნია, წესიერი სახლიც არ მაქვს, ძმების ამარად ვარ თქო.

იმ დღეს შემაქო თამარმა. შენ გაქვსო ის, რაც სხვას არ აქვსო და ვერც ექნებაო.

იმ დღეს თქვა თამარმა: ამ მოკლე ხანში რამდენი დიდებული ციხე და სასახლე შემუსრულაო, რამდენი ახალი აშენებულაო. მოზვერის ნაშიერი ისეთივე მოზვერი იქნებაო, თვითონაც დაილუპება და სამეფოსაც დაღუპავსო.

იმ დღეს დამპირდა მეფე, შენ გექნებაო შენივე ციხე.

იმ დღეს მივიღე პირველი დავალება, ვარძიას რომ მორჩები, წადი და შენივე ციხის აღდგენა დაიწყეო.

იმ დღეს ვერ ვხვდებოდი უფლის წყალობა იყო, თუ ჩემი ძმების ნათქვამი ახდა.

იმ დღეს აღარ უტირინია თამარსა.

იმ დღეს ჩემს წინაშე მეფე თამარი იდგა.

იმ დღეს პიველად ვნახე ქალი მეფე, დიდი გვირგვინოსანი.

იმ დღეს დაამტკიცა გეგმა ჩემი და სამეფოს მომავლისა.

იმ დღეს მე აღარ ვიყავი უბრალოდ მხატვარი.

იმ დღეს დამედო დიდი ტვირთი ქვეყნის სამსახურისა.

იმ დღეს სხვა თვალთ შევხედე ჩემსავე გრძნობა-გონებასა.

იმ დღეს მივუტევე პირველად მეფე თამარსა.

